



სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულო
COUNCIL OF SIGHNAGHI MUNICIPALITY



განკარგულება:გ-55.55212183

თარიღი:06/08/2021

2021 წლის 2 ოქტომბრის მუნიციპალიტეტის ორგანოების არჩევნებთან დაკავშირებით სიღნაღის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სააგიტაციო მასალის გასაკრავად ადგილების განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 46-ე მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტების შესაბამისად, სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. 2021 წლის 2 ოქტომბრის მუნიციპალიტეტის ორგანოების არჩევნებთან დაკავშირებით სიღნაღის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სააგიტაციო მასალის გასაკრავად განისაზღვროს შემდეგი ადგილები:

ა) კულტურის სახლების ფასადები და მათი კაპიტალური მესერი;

ბ) სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთრებაში (მფლობელობაში) არსებული შენობა-ნაგებობები და მათი კაპიტალური მესერი, აგრეთვე მათ მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობები და მათი კაპიტალური მესერი, გარდა ამ განკარგულების მე-5 პუნქტით აკრძალული შენობა-ნაგებობებისა;

გ) სახელმწიფო და ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე განთავსებულ ბოძებზე 3 მეტრის სიმაღლეზე დაშვებით, მაგრამ თუ ბოძზე დამონტაჟებულია კვანძები, სადენები და სხვა ელემენტები, არაუმეტეს ერთი მეტრის სიანხლოვისა;

დ) სააგიტაციო მასალა შეიძლება გამოიფინოს შენობა-ნაგებობებსა და სხვა ობიექტებზე მათი მესაკუთრეების ან მფლობელების თანხმობის შემთხვევაში.

2. ამ განკარგულების პირველი პუნქტის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ ადგილებში საარჩევნო სუბიექტებმა უზრუნველყონ სააგიტაციო მასალის განთავსება იმ ფორმით, რომ დაცულ იქნეს წინასაარჩევნო კამპანიაში (აგიტაციაში) მონაწილე ყველა საარჩევნო სუბიექტის თანაბარი შესაძლებლობა ისარგებლოს სააგიტაციო მასალის გასაკრავად და გამოსაფენად განკუთვნილი ადგილ(ებ)ით;

3. ამ განკარგულების პირველი პუნქტის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ ადგილებში საარჩევნო სუბიექტს უფლება აქვს გააკრავს სააგიტაციო მასალა შემდეგი ზომებით: სიგრძე არა უმეტეს 60 სმ, სიგანე არაუმეტეს 42 სმ (A2 ფორმატი);

4. ამ განკარგულების პირველი პუნქტის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ ადგილებში საარჩევნო სუბიექტის მიერ გასაკრავი სააგიტაციო მასალის მაქსიმალური რაოდენობა ერთ საარჩევნო სუბიექტზე განისაზღვროს, ადგილის ფართობის გათვალისწინებით, არაუმეტეს 10 ცალით;

5. აკრძალულია სააგიტაციო მასალის განთავსება საკულტო ნაგებობებზე, კულტურული მემკვიდრეობის შენობა-ნაგებობებზე, სახელმწიფო ხელისუფლების, ადგილობრივი თვითმმართველობის (მის:ქ. სიღნაღი დ.აღმაშენებლის მოედანი №2), ასევე ტერიტორიული ორგანოების ადმინისტრაციული შენობების, მათი კაპიტალური მესერების, სასამართლოს (მისამართი: სიღნაღი ც.დადინის ქ.№15), პროკურატურის (მის: სიღნაღი ნ.ბარათაშვილის ქ. №1^ბ), პოლიციის (მის: სიღნაღი ნ.ბარათაშვილის ქ. №1ა, ქ.წნორი რუსთაველის ქ.№32) თეატრის შენობის (მის: ქ.სიღნაღი დ .აღმაშენებლის მოედანი №4) ინტერიერსა და ექსტერიერში, საგზაო ნიშნებზე, ასევე დაუშვებელია გენჭისყრის შენობის შესასვლელიდან 25

მეტრის მანძილზე სააგიტაციო მასალის განთავსება;

6. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედების ვადა შეწყდეს 2021 წლის 2 ოქტომბრის მუნიციპალიტეტის ორგანოების არჩევნების შედეგების ოფიციალურად გამოცხადებისთანავე;
7. ამ განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია სიღნაღის რაიონულ სასამართლოში (ქ. სიღნაღი ც. დადიანის ქ. #15) განკარგულების ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

ილია ხატიაშვილი

სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

